



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ინფორმატიკა
პროგრამის ხელმძღვანელი	დოქტ. ჯიჰან მერთი, ავილირებული ასოცირებული პროფესორი მობ. ტელ.: +995 557 45 11 88 ელ-ფოსტა: cmert@ibsu.edu.ge
სწავლების საფეხური	ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური)
სწავლების ენა	ქართული
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი
კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში / Bachelor of Engineering in Informatics
დაშვების წინაპირობები	პროგრამაზე სტუდენტი დაიშვება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს. პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარება. უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	საბაკალავრო პროგრამა ინფორმატიკაში შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებს მისცეს მყარი ცოდნა მათემატიკის, ფიზიკის, კომპიუტერული ინჟინერიისა და მეცნიერების საფუძვლებში. პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს ათვისებული ცოდნის საშუალებით გააანალიზოს და შეაფასოს კომპიუტერული სისტემები. პროგრამა შექმნილია იმისთვის, რომ სტუდენტებს შეასწავლოს როგორც ტექნიკური, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის სისტემების შექმნა და დანერგვა, რაც მრავალი კომპიუტერული პრობლემის გადაჭრის გზას წარმოადგენს. შეისწავლება სისტემები, რომლებსაც აქვთ ტექნიკური და პროგრამული კომპონენტი, საჭიროებენ კარგად განსაზღვრულ ინტერფეისს და შესაბამისი საინჟინრო გადაწყვეტილებების შეფასებებს. პროგრამა სტუდენტებს აწვდის თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს პროგრამირებასა და კომპიუტერულ მოწყობილობებში.

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>კურსდამთავრებულებს შეეძლებათ გაყვნიენ აკადემიურ კარიერას, ან იმუშაონ ინფორმაციულ, სამრეწველო და კომერციულ სექტორებში.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>პროგრამის სავალდებულო ნაწილის დასრულების შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:</p> <p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>ინფორმატიკის პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულები შეიძენენ საფუძვლიან ცოდნასა და უნარ-ჩვევებს კომპიუტერული ტექნოლოგიების ძირითადი მიმართულებებით. ექნებათ კომპიუტერული ტექნოლოგიების შესაბამისი ტერმინოლოგიის ცოდნა და გაცნობიერებული ექნებათ სფეროს ქვედარგებს შორის ურთიერთკავშირი. აღნიშნული ცოდნა გახდება წინაპირობა იმისა, რომ სტუდენტებმა სურვილის შემთხვევაში ცოდნა გაიღრმავონ მაგისტრატურაში.</p> <p>პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებული:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ფლობს ინფორმატიკის საფუძვლებს, სათანადო ტერმინოლოგიას, გააჩნია მათემატიკური ანალიზის, მონაცემთა ანალიზის, დამუშავების, სტატისტიკური და ალბათობის პრინციპების ცოდნა; ✓ ფლობს ინფორმატიკის ფუნქციონალური სფეროების: მონაცემთა სტრუქტურების და ალგორითმების, მონაცემთა ბაზების, პროგრამირების, ვებ ტექნოლოგიების ცოდნას და აცნობიერებს მათ ურთიერთქმედებას; ✓ იცნობს კომპიუტერული კომუნიკაციებისა და ქსელების ძირითად ქვედარგებს, გაანალიზებული აქვს ინფორმაციული და ქსელური უსაფრთხოების მნიშვნელობა ორგანიზაციულ გარემოში. <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p> <p>ინფორმატიკის პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულს შეეძლება თავისი საქმიანობის სფეროში ცოდნის კვალიფიციურად გამოყენება. მიღებული ცოდნა მომავალ სპეციალისტებს საშუალებას მისცემს დასაქმდნენ სხვადასხვა სახელმწიფო და კომერციულ სტრუქტურებში კომპიუტერული უზრუნველყოფის, მართვის, პროცესების ანალიზისა და პროგნოზირების მიმართულებით.</p> <p>პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეეძლება:</p>



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<ul style="list-style-type: none"> ✓ პროგრამული დავალების გათვალისწინებით ობიექტზე ორიენტირებული და ობიექტზე არაორიენტირებული პროგრამირების გამოყენება; ✓ მონაცემთა სტრუქტურებისა და ალგორითმების პრაქტიკული გამოყენება; ✓ მონაცემთა ბაზების სხვადასხვა ტიპების დაპროგრამება შესაბამისი მონაცემთა ბაზის შემუშავებისათვის; ✓ ორგანიზაციებში საიმედო და დაცული კომპიუტერული ქსელების დანერგვა; ✓ ავტომატიზებული კომპიუტერული მოდელების (CAD/CAM) შექმნა და მათი პრაქტიკაში (დიზაინის შემუშავებაში, წარმოების მოდელირებაში, ა.შ.) გამოყენება; ✓ ვებ პროგრამირების სხვადასხვა ტექნიკის გამოყენება ვებ-გვერდების, ინტერნეტ აპლიკაციებისა და ინტერნეტზე დაფუძნებული სხვა კომპონენტების შესაქმნელად; ✓ 3D კომპიუტერული გრაფიკის გამოყენება დიზაინის შემუშავებისათვის; ✓ კომპიუტერული ტექნოლოგიების თანამედროვე ტენდენციების, ციფრული სურათების დამუშავების, ასევე მონაცემთა პროცესირებისა და ნიმუშების ამოცნობის ტექნიკების პრაქტიკული გამოყენება. <p>დასკვნის გაკეთების უნარი</p> <p>ინფორმატიკის პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებულებს შეეძლებათ სხვადასხვა დარგობრივი პრობლემების გადასაწყვეტად მონაცემების მოძიება და გამოყენება. ასევე ექნებათ დარგის ახალი მეთოდების გამოყენებისა და კრიტიკული აზროვნების უნარი.</p> <p>კომუნიკაციის უნარი</p> <p>კურსდამთავრებულები შეძლებენ გამოიყენონ კომპიუტერული ტექნოლოგიები, როგორც პრობლემის გადაწყვეტის საშუალება. ამასთანავე, მათ შეეძლებათ სხვადასხვა სფეროში წამოჭრილი პრობლემის გადაჭრების გზების დაკავშირება. კურსდამთავრებულები შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ ტექნიკური ხასიათის დისკუსიებში და შემაჯამებელი შედეგები გადმოსცენ წერილობითი და ზეპირი ფორმით.</p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის</p>
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, შეუძლია რეფერატული სახის ნაშრომის მომზადება, შეუძლია საქმიანი დოკუმენტის შედგენა კომპიუტერული ტერმინოლოგიის გამოყენებით;</p> <p>შეუძლია <i>უცხო ენაზე</i> კომპლექსური საკითხის/კითხვის ფორმულირება/ ჩამოყალიბება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა/პრეზენტაცია,</p> <p>კომუნიკაცია - შეუძლია გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული ტექსტების არსებითი შინაარსი, ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია საქმიანი დისკუსიის წარმართვა; შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები.</p> <p>კითხვა – შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად ინგლისურ ენაზე სხვადასხვა თემებზე დაწერილი ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება;</p> <p>წერა – შეუძლია წერილობით ინგლისურ ენაზე მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავის აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.</p> <p>საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება</p> <p>იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია ელექტრონულ დოკუმენტებთან, ელექტრონულ ცხრილებთან, პრეზენტაციებთან, მონაცემთა ბაზებთან მუშაობა, ბიზნესის შესაბამისი საინფორმაციო ბაზებისა და პროგრამების გამოყენების უნარი.</p> <p>ინფორმატიკის პროგრამის კურსდამთავრებულებს ეცოდინებათ პროგრამირების სხვადასხვა ენა, შეეძლებათ კომპიუტერული ქსელების დანერგვა და მხარდაჭერა ორგანიზაციულ გარემოში, მონაცემთა ბაზების აწყობა, ვებ დაპროგრამება, შეეძლებათ 3D კომპიუტერული</p>
--	--

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>გრაფიკის პროგრამების, ასევე თანამედროვე პროგრამული სისტემების გამოყენება.</p> <p>სწავლის უნარი</p> <p>ინფორმატიკის პროგრამის გავლის შედეგად კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვასა და მიღებული ცოდნის საშუალებით დამოუკიდებლად სწავლის პროცესის გაგრძელებას</p> <p>ღირებულებები</p> <p>ორგანიზაციასა და საზოგადოებაში სამართლებრივი, ეთიკური და ინტერკულტურული პასუხისმგებლობის გაცნობიერების უნარი, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.</p>
<p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p>	<p>შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.</p> <p>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა; 2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა; 3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა; 4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა; 5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა. <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <ol style="list-style-type: none"> 1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., №2; ტელ.: +995 32 25950 05/06/07; ელ. ფოსტა: contact@ibsu.edu.ge



საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

	<p>2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.</p> <p>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.</p> <p>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:</p> <ul style="list-style-type: none"> ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში; ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში. <p>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.</p>
<p>დასაქმების სფერო</p>	<p>პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ სამსახურის დაწყება როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციების საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორებში (პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპერული კომპანიები, ვებ ჰოსტინგის კომპანიები, საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტების მქონე ნებისმიერი კომპანია, მათ შორის საბანკო, ჯანდაცვა, დაზღვევა და სამთავრობო სისტემები), აგრეთვე, სხვადასხვა ბიზნეს კოორპორაციაში, საჯარო დაწესებულებებში და ა.შ.</p> <p>დასაქმების სფეროები შეიძლება იყოს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება და მხარდაჭერა, სისტემური ადმინისტრირება, მონაცემების მართვა, კვლევა, სწავლება და კონსულტაციის გაწევა და სხვა.</p>